ცნობის ფურცელი

№ 1982 სამშაბათი, 12 ნოემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1982

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

САФАБРИКО
საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკაცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—60)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

გ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ქირურგიული) ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სობოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა“ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩ., სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274. (წლ).

[illegible] 14. ტელეფონი 617

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, 1902 წელს

ნინო ჩხეიძის საგასტროლოდ

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად განახლების შემდეგ

მუშაკი და ნებიერი
(Le Màrtre de forges)

კომედია 4 მოქ. და 5 სურ. ჟორჟისა. თარგ. პ. ყიფიანის მიერ

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომაშვილი, ნ. ჩხეიძე და სხვანი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, ქლენტი, რკინელი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი დილის 12 საათზე

მზადდება წარმოსადგენად **„მშრომოყვარე ძმები“**, **„კოვერლეის მკვლელობა“**, (კ. მესხის ბენეფისი), **„მზის მოკლებულნი“**.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—1-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელაშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. იაჩნაძისა. (წ).

ე ქ ი მ ი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და ბავშვთა ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ბანკის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ნახული და გაგონილი
(ხან წაკითხულიც)

V

მოდის პედაგოგია

გაგვეგონებათ ან წაკითხული გექნებათ: 1870-ში საფრანგეთის ჯარი პრუსიის სოფლის სკოლის მასწავლებელმა დაამარცხაო. თითქმის მთელი ჭეშმარიტებაა ამ სიტყვებში. მართალია, საფრანგეთი ნაპოლეონ მესამის გარყვნილმა პოლიტიკამ დაასუსტა, ისიც მართალია, რომ მოლტკე დიდი სარდალი იყო, მაგრამ რომ მომზადებული, მამულისშვილურ გრძნობით გამსჭვალული სოფლის მასწავლებელი არა, გერმანელი ჯარის კაცი შეგნებული მოქალაქე-მეომარი კი არა, მანქანა-ჯარის კაცი იქნებოდა.

სკოლამ, სკოლის მასწავლებელმა აღზარდა ის გერმანელი მამულისშვილი, რომელმაც საფრანგეთი დაამარცხა და ძლიერი იმპერია დააარსა.

ჩვენი სკოლის მასწავლებელი და სკოლა კი... მაგრამ უკეთესია მაგალითებით ვილაპარაკო.

ჩვენ ოპტიმისტ „მოღვაწეებს“ ქების სიტყვები ვერ მოუნახავთ „მკვირცხლ იმერი“-ს სადიდებლად—მეტად სწავლის მოყვარე ხალხია, სკოლას სკოლაზე იარსებსო. მართლაც სასიამოვნო და სანუგეშო მოვლენაა ხალხის ცხოვრებაში სწავლის წყურვილის გაღვიძება. კიდევ უფრო საიმედოა, როცა ეს ხალხი არაფერს ზოგავს ამ წყურვილის მოსაკლავად. მაგრამ ვაი, რომ ყველა მის შრომა და ხარჯში ანკარა წყაროს წყალის მაგიერ ვინ იცის, რის ნარევი ამღვრეული წყალი არ რჩება ხელში?

ჩვენი მასწავლებელი იმის მაგიერ, რომ ასეთ წყალის გაწმენდაზე (შეძლების დაგვარად, რასაკვირველია: სულ გაწმენდას ჰერკულები სჭირდება) სცდილობდეს, მეტ წილად კიდევ უფრო ამღვრევს.

ლევიტსკის ყოვლად უმზგავს წიგნის ამბავი ყველას მოგეხსენებათ. მთელ ქუთაისის გუბერნიის სკოლებს მოედო ეს უმზგავსობა. ჩვენი მასწავლებელი ამ უმზგავსობის გამავრცელებელი აგენტი შეიქმნა—„რა ვქნათო, იმართლებდნენ თავს, სული ტკბილია, მაგრამ ხორცი მწარე არისო“. არ გამოჩნდა ისეთი „გმირი“, რომ სკოლაში სხვა, მთავრობისაგან ნება დართული და მოწონებული, სახელმძღვანელო შემოეღოს.

გმირობას თავი დავანებოთ; ეხლა მაინც არ არის იგი საჭირო იმერ მასწავლებლისათვის; ეხლა ვინდა ატანს ძალას უმზგავსობის აგენტები იყოს?

ჯილდო და დაწინაურება*) სხვა არავინ.

—

ვიცი ერთი „დაწინაურებული, პროგრესის გზაზე მდგომარე“ სოფელი. რომელი დაწესებულება გინდა იქ არ არსებობდეს! ყოველი იქ მიმსვლელი თავის წმინდა მოვალეობად სთვლის გაუთავებელი კორესპონდენცია მოიწეროს სოფლის ასეთ „დაწინაურებასა და პროგრესზე“. ადგილობრივი ლიტერატორები ხომ ყველა ჩვენ რედაქციების კალათებს ავსებენ. რასაკვირველია, სკოლებიც არის ამ სოფელში და სკოლებს მასწავლებლები ჰყავს. ბავშვების გამოცდას დავესწარი ერთ სკოლაში. სხვათა შორის ერთ უფროს მოსწავლეს (ნორმალური სკოლაა) რაფიელის უკვდავი „სამშობლო ხევსურისა“ წააკითხეს და როცა ჰკითხეს შენი „სამშობლო“ სად არისო, მოსწავლემ თამამად თავისი სოფელი დაასახელა. მასწავლებელიც მეტად კმაყოფილი დარჩა ასეთის „პასუხით“.

ამიტომაც არის, რომ სიხარულით არ ვეგებები ახალ სკოლების გახსნის ამბავს, ამიტომ არის, რომ ვერ გამიგია სხვების ალტაცება და სიხარული ასეთ „სანუგეშო“ ფაქტების გამო.

ჩვენი სკოლისა და მასწავლებლის აღზრდილი მამულისშვილი პრუსიელს კი არა, ეხლა დალაჩრებულ, ყველასაგან აბუჩად აგდებულ სპარსელსაც კი ვერ გაუმაგრდება...

* *

საზღვარ-გარედ

ინგლისი. გაზეთ „მანჩესტერ გარდიან“-ს სწერენ კაპშტადტიდან: თუმცა ამას წინად ბრიტანიის კოლონიების პირველ-მინისტრებმა კონფერენციის დროს დაადგინეს, რომ ბრიტანიის საქონლისათვის კოლონიებში შეღავათიანი ტარიფი დაწესდესო, მაგრამ

---

*) უმრავლესობას მოგახსენებთ.

ფელეტონი

—

შვეიცარიის სოფელი *)

(მგზავრის შენიშვნები)

მივაშურეთ სასტუმროს, სადაც სუფრა გაშლილი დაგვხვდა. საჭმელის მოთხოვა სავალდებულო არ არის. შეგიძლიანთ ქვეიდან წამოიმძღვარონთ თქვენი საგზალი. თუ კი მოთხოვას ინებებთ, შოვნა ყველაფრისა შეგიძლიათ, როგორც წვნიან ვახშმისა, ისე შამპანიურის ღვინისა. რიგი ერთს მხარეს შემოუსხდა და მთელი ვახშამი მოითხოვა, რიგმა თან წამოღებული საგზალი ამოალაგა და საქმეს შეუდგა. ჩვენც სხვებს მივბაძეთ, მოვითხოვეთ ეგრედ წოდებული „un complet“, რომელიც აქაურულად შესდგება ბლომა რძისა, ყველისა, თაფლისა, ყავისა, კარაქისა და პურისაგან. როცა ჭამის მადაც გახლავსთ (და ასეთს მთებზე უმადობა იშვიათია), ამ „complet“-ს არაფერი სჯობს. სამს კაცს ასეთს „complet“-ში 5 ფრანკი (ორი მანეთიც არა) გადაგვახდევინეს. თუ წარმოიდგენთ ადგილს, სადაც ასეთს უნაკლულო საუზმეს მიირთმევთ, ეს ფასი, არა გვგონი, გეზევროსთ.—მაგიდაზე გამწკრივებულია ალბომები შვეიცარიის სხვა-და-სხვა ლამაზ ადგილებისა, შვეიცარიასავე ადგილების სურათებიანი ღია-წერილები (გასასყიდი), მგზავრთათვის საჭირო სხვა-და-სხვა ცნობათა წიგნები და დავთრები, რომელშიაც ყოველი აქ ამოსული სურვილისამებრ სწერს თავისს სახელსა და გვარს, სადაურობას, ხელობას, საიდან მომავლობას, საით მიმავლობას და ხან ლექსსაც. მილეთის ხალხის გვარებს ქვეშ ჩვენც ჩავწერთ ქართულად ჩვენი გვარები. ერთს ჩვენთაგანს შვეიცარიის მთების ზედგავლენით მოაგონდა ჩვენის დაუვიწყარის რ. ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ და შიგ ჩაურთო ერთი ტაეპი,—სხვასთან ესეც იყოს ქართველთა მოგზაურთა სახსოვრადაო... საათის ათზე უკვე თბილს საბანს ქვეშ ვიყავით და აქ ამოსვლით საკმაოდ დაღლილებს ტკბილის ძილით გვეძინა.

საათის ხუთზე მთელი სასტუმრო ერთბაშად ახმაურდება, მოსამსახურე გოგოები მოსულებს კარებზე უკაკუნებენ და აღვიძებენ, რომ მზემ ამოსვლა არ დაასწროსთ. რამდენსამე წამში მოგზაურები ბაწარალებით მიეჩქარებიან აღმოსავლეთის საცქერ ადგილებისაკენ. საცილსა გვერის მათი ყურება: ყველას საბნები აქვსთ წამოსხმული, რომ დილის სუსხისაგან თავი დაიფარონ და ყველანი დაშტერებით უცქერიან აღმოსავლეთს, რომელიც ყოველ წამს ათას-ფრად იცვლება. პირველი სხივი მნათობისა ისარივით ჰხვდება ჯერ შორს მდგარს იუნგფრაუს და ზედ ადნება სპეტაკ თოვლზე; იქიდან წამოსული სხივები მეზობლებს აძლევს უმანკო სალამს და ბოლოს ნელ-ნელა, დიდებულად ამოჰყოფს თავს და სამყაროს თვალის-მომჭრელად ანათებს მზეც. აქ ამოსული კაცი იშვიათის სურათის მოწამე ჰხდება ნახევარ საათის განმავლობაში და ისე ებეჭდება გონებაში მთელი ეს პოეზია, მთელი ეს ქებათა-ქება, მთელი ეს ნადიმი და ხატება უმანკოდ ამომავალის მზისა, რომ სამარადისოდ სიამით მოსაგონებლად ურჩება.

საათის რვაზე იგივე „complet“, ანგარიშის გასწორება სასტუმროს პატრონთან, საერთო სალამი, გზის დალოცვა გოგოებისაგან—დავეშვებით თავქვე სულით და ხორცით დამტკბარნი, ტკბილად მოსაგონარ შთაბეჭდილებებით დატვირთულნი. ერთი რამ დაგვავიწყდა ამ სასტუმროდან ძირს მახლობლად მდებარე სოფლამდე, საიდანაც უმეტესი ნაწილი მოგზაურთა ამოდის აქ ტელეფონია გაყვანილი. ამ ტელეფონის საშუალებით შეგიძლიათ წინ-და-წინვე სოფლიდანვე დაიჭიროთ სასურველ ფასის ოთახი. თორემ მოხდება ხოლმე, რომ ხანდის-ხან მგზავრები ბევრნი მოიყრიან თავსა და თავისუფალი ოთახის შოვნა, თუ შეუძლებელი არა, გასაჭირი მაინც იქმნება.

აქეთობას სხვა გზით დავეშვით. აქეთკენაც შეგვხვდა შალეები, სადაც მუდამ ჟამს შეუძლიან მგზავრს თბილი, წმინდა რძე იშოვოს, შედარებით იაფად.

ვსთქვათ მოგეწყინათ სოფელში ყოფნა. იქვე, რკინის გზით ერთის საათის სავალზე კალმით დახატული ტბა ტუნისა, რომელსაც იაფად გემით შეგიძლიათ შემოუაროთ გარშემო. ყოველის მხრიდან მაღალი მთები, კოხტა დაბა-სოფლები თვალებს გიტკბობს და გულს შვებას ანიჭებს.

ერთის სიტყვით, შეგიძლიათ ორი თვე ისე გაატაროთ, ყოველდღე ახალ-ახალი სარდო მისცეთ თქვენს გონებას, ახალ-ახალ სიამე აგრძნობინოთ გულს დ ყოველივე ეს თვეში ას ფრანკზე მეტად არ დაგიჯდესო (პანსიონში თვეში 80 ფრ. გვახდევინებდნენ, მა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1976

აქაურ პარლამენტში წარსულ სამშაბათს ბევრმა დეპუტატმა ილაპარაკა ხსენებულ ტარიფის წინააღმდეგ. ამ ტარიფის წინააღმდეგ უმთავრესად ინგლისელ ჩამომავლობის მოვაჭრეები და მრეწველები მოქმედებენო.

✦ „დეილი ექსპრეს“-ი იუწყება: ჩემბერლენი უმთავრესად როდეზიის საქმის გულისთვის მიდის სამხრეთ-აფრიკასაო. როდეზია კაპიტალისტების ამხანაგობას—„ჩარტერიდ კომპანიას“ ეკუთვნის; ინგლისის მთავრობას უნდა, ეს ადგილები შეისყიდოს კაპიტალისტებისაგან და ჩემბერლენიც იმისათვის მიდის სამხრეთ-აფრიკას, რომ ეს საქმე ადგილობრივ შეისწავლოს. „დეილი ექსპრესი“ დასძენს: რაკი როდეზია ბრიტანიის იმპერიას შეუერთდება, ინგლისის მთავრობამ პორტუგალიის ადგილებიც უსათუოდ უნდა შეისყიდოსო, რადგანაც პორტუგალიის სამფლობელო როდეზიასა და ოკეანეს შუა მდებარეობს. პორტუგალიის მეფე მალე ლონდონში მოვა ჩვენს მეფესთან სადარბაზოდ, მთავრობამაც შემთხვევით უნდა ისარგებლოს და ამ საქმეზე მოლაპარაკება გამართოსო.

✦ გაზ. „ფინანსიალ ნიუს“-ი იუწყება, ინგლისისა და იტალიის მთავრობას მოლაპარაკება აქვთ გამართული იმის თაობაზე, რომ იტალიელი მუშები ტრანსვაალის ოქროს მადნებში წაიყვანონ სამუშაოდ. იტალიის მთავრობამ ადოლფ როსი გაგზავნა სამხრეთ-აფრიკას იქაურ პირობათა შესასწავლად. როსიმ უნდა გამოიკვლიოს, სასურველია იტალიელების დასახლება სამხრეთ-აფრიკას, თუ არა და ამის თაობაზე მოხსენება წარუდგინოს მთავრობას.

საფრანგეთი. დემოკრატია ყველგან მხნედ ცდილობს, სახალხო განათლება რიგზე მოაწყოს. ცდილობენ, რასაკვირველია, საფრანგეთშიაც. აქაურმა ინტელიგენციამ პარიზსა, თუ პროვინციაში მრავალი სახალხო უნივერსიტეტი დააარსა და არაფერი არ დაზოგა, რომ ეს უნივერსიტეტი ხალხის მოთხოვნილებისა და საჭიროების დაკვალად მოეწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ამ უნივერსიტეტებმა არც თუ მაგრე რიგად დიდი სარგებლობა მოუტანეს ხალხსა. მუშები ათი საათის მუშაობის შემდეგ ისე იღლებიან და იქანცებიან, რომ ამ უნივერსიტეტში სიარულის თავი აღარა აქვთ, თუმცა სწავლის სურვილი და ხალისი კი დიდი აქვთ. ამიტომ სახალხო უნივერსიტეტების დაარსების მოთავეებმა გადასწყვიტეს, აგიტაცია გავმართოთ და ვეცადნეთ, რომ ყველა ქარხნებსა და ფაბრიკებში რვა საათის სამუშაო დღე დაწესდესო. ესენი ამბობენ: სანამ მუშები ყოველ დღე ათს საათს მუშაობენ, ყოველი ჩვენი ცდა და შრომა არაფერს სარგებლობას არ მოუტანს სახალხო განათლებასაო; ჩვენი ზრუნვა მოზარდ თაობის განათლებისათვის სულ ამაო იქნებაო. თუ უნდათ, რომ მოზარდმა თაობამ სკოლის გარედაც ისწავლოს რამე, უსათუოდ რვა საათის სამუშაო დღე უნდა დაწესდესო; ხალხისათვის კი სკოლის გარედ სწავლა იმდენადვე საჭიროა, როგორც თითონ სკოლაო. ეს ხომ საფრანგეთში ყველამ შეიგნო.

გერმანია. მთავრობამ კონსერვატორებთანა და აგრარიებთან სატამოჟნო ტარიფის თაობაზე მოლაპარაკება გამართა. გაზ. „მ. ნ. ნახრიხტენ“-ი იუწყება: 10 კაცის გარდა, ყველა კონსერვატორებმა თანხმობა გამოაცხადეს, მთავრობის კანონ-პროექტს მივიღებთო. 10 კონსერვატორმა და ყველა აგრარიებმა კი გადაჭრით გამოაცხადეს, მეტს ველარას დავუთმობთ მთავრობასაო.

✦ პოზნანის პოლონელები შიშით მოელიან მომავალ საპარლამენტო არჩევნებს. პოლონელებს ეხლა 14 დეპუტატი ჰყავთ რეიხსტაგში და თუ მომავალ არჩევნის დროს ძლიერ არ ეცადნენ, ამდენს დეპუტატს ველარ აირჩევენ. წინად გერმანელი კათოლიკები და პროგრესისტებიც-კი არ ერიდებოდნენ პოლონელის არჩევას, ეხლა კი სულ სხვა იქნება. პოლონელებსა და გერმანელებს შუა დიდი მტრობა ჩამოვარდა. პოზნანში ყველა გერმანელი პარტიები, სოციალ-დემოკრატების გარდა, თანხმობით იმოქმედებენ და ყველანი ერთპირად პოლონელების წინააღმდეგ გაილაშქრებენ. მოსალოდნელია, რომ გერმანელ კათოლიკეთა უმეტესობა მომავალ არჩევნის დროს პოლონელებს გადუდგეს და გაკატისტებს მიემხროს. კანონიერ აგიტაციის გარდა, გერმანელები, რასაკვირველია, უკანონო აგიტაციასაც მიჰმართავენ: გერმანელი კაპიტალისტები პოლონელ მუშებს ძალას დაატანენ, რომ გერმანელები აარჩიონ დეპუტატებად. ეს ძალ-დატანება მით უფრო საშიშია, რომ ეხლა, სასოფლო-სამეურნეო კრიზისის გამო, კაპიტალისტებს მაგრე რიგად არ სჭირიათ მუშა ხელი.

პოლონელებს საკმაოდ დაძველებული საარჩევნო წესები აქვთ. სოფლებში ხომ ნამეტნავად ცუდად აქვთ მოწყობილი საარჩევნო საქმე: პოლონელი გლეხ-კაცები მძიმე და გონება გაუხსნელი ხალხი არიან. ამიტომ პოლონელი ინტელიგენცია სოფლებში ბეჯით აგიტაციის გამართვას აპირებს. ის არა ჰკმარა, რომ არჩევნების წინა დღეებში დავიწყოთ აგიტაცია, ეხლავე უნდა შევუდგეთ ცდასაო. პოზნანის პროვინციალურ საარჩევნო კომიტეტმა წერილით სთხოვა სოლქო კომიტეტებს: ეხლავე აგიტაცია გამართეთ, ყოველ სოფელში კრებები გამართეთ და ხალხი არჩევნებისათვის მოამზადეთო.

მაკედონია. მაკედონიის კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი მიხაილოვსკი ამ ჟამად ევროპაში მოგზაურობს იმ აზრით, რომ მაკედონელებს ევროპიელების თანაგრძნობა მოუპოვოს. ამ წამს მიხაილოვსკი პარიზში იმყოფება. ვენაზე რომ გაუვლია, მიხაილოვსკის „ნ. ფ. პრესს“-ს თანამშრომელთან საუბარი ჰქონია და მაკედონიის მდგომარეობა, აჯანყებულთა ძალა და მიზანი დაუსურათებია: „მაკედონიის მდგომარეობა საშინელია. ჩვენი სურვილი ორის სიტყვით გამოითქმის: გვინდა, რომ ქრისტეანებს ის უფლება ჰქონდეთ, რაც ოსმალებს აქვთ, ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ, მხოლოდ ის გვინდა, რომ ბერლინის ხელ-შეკრულობის მე-23 მუხლი ასრულდეს. მაგრამ ხონთქარი აბდულ-ჰამიდი არას დროს არ შეასრულებს ჩვენს მოთხოვნილებას. ევროპაში ჰგონიათ, მაკედონიის მოძრაობის მიზეზი ბოლგარიააო. პეტერბურგიდან და ვენიდან არა ერთხელა სთხოვეს ბოლგარიის მთავრობას, მაკედონიის მოძრაობას ხელს ნუ უწყობო. მაგრამ ბოლგარიის მთავრობა აქ არაფერ შუაშია. მაკედონიის მოძრაობა მარტო იმ მიზეზით დაიწყო, რომ მაკედონია საზარელ მდგომარეობაშია.

ბოლგარიაში ბევრი მაკედონიელი გადასახლდა და ai სწორედ ესენი უწყობენ ხელს აჯანყებას. რაც ბოლგარიის დედა ქალაქ სოფიაში ხალხი ცხოვრობს, ნახევარი სულ მაკედონელები არიან. მდინარე დუნაის ორსავ ნაპირასაც თითქმის 250 ათასი მაკედონელი ცხოვრობს. ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამოდენა ხალხი უმეტეს ნაწილად განათლებულნი არიან. 550 წელიწადია, რაც ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე შინაური ბრძოლა არა სწყდება, მაგრამ საქმე ჯერ არას დროს არ გამწვავებულა ისე, როგორც ეხლა. მაკედონიაში მთელი ხალხი კი არ აჯანყებულა, ისე, მაგალითად, როგორც საფრანგეთის რევოლიუციის დროს აჯანყდა. ამისთანა მოძრაობა ბოლგარიის ხალხის ხასიათს როდი შეჰფერის. მაკედონიაში დღესაც იმნაირი ამბები ხდება, როგორც ძველ სიმღერებსა და თქმულებებშია აწერილი: მაკედონიაში გაიდუკების აჯანყებაა. 20—25 კაცი პატარა რაზმს შეადგენენ, ერთს უფროსს აირჩევენ და უმოწყალო პარტიზანულ ბრძოლას იწყებენ ოსმალებთან. ზოგიერთმა სარდალმა, მაგალითად, გენერალ ცონჩევმა და პოლკოვნიკ ნიკოლოვმა მშვენიერად იციან სამხედრო საქმე. ესენი ბოლგარიის ჯარში მსახურებდნენ. ზოგიერთ სარდლებს მშვენიერი იარაღი აქვთ. ბევრ რაზმს მაგარი, მიუვალი ადგილები უჭირავს. აჯანყება იმიტომ გაძლიერდა ასე, რომ ხალხი თანაუგრძნობს აჯანყებულებს.

ოსმალეთის მთავრობა ჩვეულებრივად ჰმალავს ყველა ამ ამბებს, მაგრამ როდემდი დაჰმალავს. მაკედონელებს ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესის დროს დაჰპირდნენ, ისეთივე უფლებები მოგეცემათ, როგორიც ოსმალებს აქვთო. მაკედონელებიც მხოლოდ ამ უფლებას თხოულობენ. ჩვენ ვსთხოვთ ევროპას, რომ ოსმალეთის მთავრობას ბერლინის ხელშეკრულობა შეასრულებინოს. მართალია, ზოგიერთ სახელმწიფოს ელჩები ხან-და-ხან ხმას ამოიღებენ ხოლმე ჩვენ სასარგებლოდ, მაგრამ აქედან ჯერ-ჯერობით არა გამოსულა-რა. საჭიროა, ყველა ელჩები საერთოდ ეცადნენ. სანამ ოსმალეთის ბატონობას თავს არ დააღწევს, მაკედონიას არა ეშველება რა. მაკედონელები ევროპის შემწეობას ელიან. ევროპა ნიადაგ ეუბნება, ჯერ კიდევ მოიცადეთო, მაგრამ ამდენი მოთმინება მოჰბეზრდათ; მაკედონიის საშინელ ყოფას ბოლო უნდა მოეღოს. გაზაფხულზე აჯანყება უფრო გაძლიერდება. თითონ ევროპის სარგებლობა მოითხოვს, რომ ბალკანეთში მშვიდობიანობა იყოს. მშვიდობიანობა კი მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა ოსმალეთს ბერლინის ხელშეკრულობას შეასრულებინებენ.“

„ეხო დე პარი“-ს თანამშრომლისათვის მიხაილოვსკის უთქვამს: „უმთავრესად საფრანგეთისა და ინგლისის შემწეობის იმედი მაქვსო. ამას გარდა, მიხაილოვსკის უთქვამს, მაკედონიის კომიტეტი 4000—5000 აჯანყებულ კაცს ინახავს თავის ხარჯითაო.

ახალი ამბავი

✦ დღეს, 12 ნოემბერს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას კრება ექმნება **სასოფლო სამეურნეო საჭიროებათა** შესახებ მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს გ. დ. ქურულის მოხსენება კოოპერატიულ ამხანაგობათა შესახებ.

✦ **ბორჩალოს მხარეს და გუმბრისაკენ** მიწათ-მოქმედების სამინისტროსაგან გაგზავნილნი მოხელენი დიდი ხანია მუშაობენ იქაურ სახაზინო გლეხთა ნადელების შესახებ სადავო საქმეების გაწესრიგებისათვის. ეს მუშაობა უკვე დაუმთავრებიათ დორისისა და გუმბრის მხარეებს, რაც სადავო რამ იყო გლეხთა შორის, სულ მორიგებით გაუთავებიათ და ამაში მოხელეებს დიდი შრომა მიუძღვით თურმე. ასე ადვილად საქმეთა გაწესრიგებას დიდად ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ მოხელეთ კარგად სცოდნიათ როგორც ადგილობრივ მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრების მდგომარეობა, აგრეთვე იმათი ენაც.

✦ რამდენი ხანია თვითმმართველობა ცდილობს, ქალაქში შემომავალ **საქონელზე გადასახადი იქმნეს შემოღებული.** ქალაქის სათხოვარი სამინისტროში იყო წარდგენილი, მაგრამ პასუხი არ მოდიოდა აქამომდე. ქალაქის მოურავის მოადგილე რამდენჯერმე შეეკითხა სამინისტროს და ამ დღეებში პასუხად მოჰსვლია სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტისაგან, რომ შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებმა საჭიროდ სცნეს ქალაქის სათხოვარის ხელ-ახლად გადასინჯვა და ამისათვის ეს სათხოვარი შარშან ივლისში კავკასიის მთავარ-მართებელს დაუბრუნდა ახლად გადასახედავადაო.

✦ გუშინ, 11 ნოემბერს, ტფილისის პოლიცმეისტერმა თავის კანცელარიაში მიიწვია ტფილისის ბოქაულები და დაავალა იმათ, თვალ-ყური ადევნონ ტფილისში **შეშის ვაჭრობის საქმეს.** ბოქაულებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ შეშის ვაჭრებმა მუშტარი არ მოატყუონ და შეშა ნაკლები არ მისცენ. ის ვაჭარი, რომელიც ზომაში მოატყუებს მყიდველს, პასუხის გებაში იქმნება მიცემული. ამასთანავე პოლიცმეისტერმა აცნობა ბოქაულებს, რომ ტფილისის სასმელ დუქნებსა, ტრაქტირებსა და ყავა-ხანებში ბევრი უპასპორტო ხალხი დაიარებაო და დაავალა, ასეთის კაცების შენიშვნის დროს, ოქმები შეადგინონ და წარუდგინონ. პოლიცმეისტერმა დაავალა აგრეთვე ბოქაულებს ყურადღება მიაქციონ, რომ მეეზოვებმა უდრო-უდროვოდ არ დაჰგავონ ხოლმე ქუჩები და მოედნები.

✦ **სოხუმიდან გვწერენ:** 6 ნოემბერს, ღამე, ქურდებმა გასტეხეს ძმ. ორჯომაიძეების მაღაზია და წაიღეს ოქროსა და ვერცხლის ნივთები, სულ სამი ათას მანეთისა. ქურდების კვალს მიაგნეს და რამდენიმე დაკარგული ნივთიც აღმოაჩინეს.

გრამ შეიძლება უფრო იაფფასიანიც იშოვოს კაცმა).

ამ წერილს რომ ვსწერდით, სხვათა შორის, აზრად ისიცა გვქონდა, რომ ჩვენებურებისათვის დაგვენახვებინა ღირსება აქაურის სოფლისა, ცხოვრების პირობები, სურვილი აგვეძრა აქეთკენ გამომგზავრებისა, საკუთარის თვალით ევროპის ცხოვრების ხილვისა. ვიცით, ზოგი გვეტყვის, შე დალოცვილო, ფული ვინ მოგვცა საამისოდ, ან, ფული რო ვიშოვოთ კიდეცა, ენა არ ვიცითო, უენოდ აბა სად წავიდეთო. მართალია, ორივე საბუთი პატივსაცემია. მაგრამ სადაც სურვილია, იქ შეუძლებელი არაფერია. თავი და თავი ის გახლავთ, რომ ქართველებს მოგზაურობისა გვეშინიან, კერის მოშორება არ გვეადვილება, მოგზაურობის და უცხო ქვეყნების ნახვის, თვალის გახელის სურვილი ჯერ გაღიძებული არა გვაქვს. მაგრამ დღეს არის თუ ხვალ ეს ნავსი უნდა გატყდეს და კრუხივით შინ ჯდომაზე ხელი უნდა ავიღოთ. შვეიცარიაში წამოსვლა აბა სად შეუძლია ისეთს, ისაც თთვეში ოთხის თუმნის დახარჯვა ემძიმება. და მაშასადამე სადმე საზღვარგარეთ გასვლა მისთვის მიუწვდომელი ოცნებაა. თუმცა ერთ სოფლის მასწავლებელს ვიცნობთ, რომელიც თავის მცირედის ჯამაგირით იმდენს ახერხებს, რომ ეს ორი წელიწადია ყოველ ზაფხულს მოდის შვეიცარიის სოფელში საცხოვრებლად. მე მოგახსენებთ ისეთის შესახებ, რომელნიც თითქმის ყოველ ზაფხულს გადიან ან აბასთუმანს, ან ბორჯომში, ან სხვაგან, სადაც ორ თთვეს დარჩენა ოც თუმანზე ნაკლები არ უჯდებათ. ასეთები თუ ცოტასაც გაიჭირვებენ და ხუთ თუმანსაც მოახერხებენ, ოც და ხუთის თუმნით შეუძლიათ შვეიცარიაში მოვიდნენ, ორი თთვე იცხოვრონ და უკანაც დაბრუნდნენ იმავე საგზლით. გზის მარშრუტი ასეთი უნდა იქნეს: ბათომიდან გემით (მეორე კლასით) ოდესამდე, ოდესიდან რუსეთის და ავსტრიის საზღვარ პოდვოლოჩისკამდე მეორე კლასით; პოდვოლოჩისკიდან ვენაზე შვეიცარიის ერთ-ერთ ქალაქამდე (ციურიხი, ბერნი, ჟენევა) მესამეთი. რაც შეეხება ენის ცოდნას, საკმარისია იცოდეთ ცოტათი მაინც ან გერმანული და ან ფრანგული, რომ შვეიცარიის ყოველ სოფელში მოახერხოთ ცხოვრება. ინგლისელები (ქალი და კაცი) ისე შემოივლიან მთელს ქვეყანას, რომ სამშობლო ინგლისურის მეტი არა იციან-რა, და ჩვენ ნუ თუ ერთ-ერთის ენის ცოდნით ფონს ვერ გავალთ? მით უფრო ადვილი იქნება აქ დარჩენა ახალმოსულისათვის, რომ ზაფხულობით სოფლად გასულ ქართველ მოსწავლეთაც, (აქ უკანასკნელ ხანში მაინც), ადვილად შეხვდება, რომელნიც დიდის სიხარულით გაუწევენ მასპინძლობას თავისს თანამემამულეთ. ოღონდ სურვილი იყოს, დიდი სურვილი და ცოტაოდენი გამბედაობა... ჩემი თქმა აბა რა საჭიროა. ვერა წიგნი, ვერა დაწვრილებით აღწერა ვერ შეედრება იმას, რასაც ადამიანი თავის თვალითა ნახავს, რასაც თვითონვე დააკვირდება, თვითონ ასწონ-დასწონავს, მსგავსსავე საგანს შეუდარებს და თვითონვე დასკვნას გამოიტანს. აქ მოსვლა და აქაურობის ნახვა, სასიამოვნოს გარდა, გონების გამამდიდრებელი, ახალ მცნებათა შემძენელი იქნება. სხვა არა იყოს-რა, თავისუფალ შვეიცარიის თავისუფალ ჰაერის სუნთქვა, თავისუფალ ხალხის ნახვა რადა ღირს!..

წერილი, ცოტა არ იყოს, გაგვიჭიანურდა, განა, მკითხველო? ჩვენცა ვგრძნობთ, რომ ამდენი ვილაპარაკეთ და იმის მეასედიც არ გვითქვამს, რის თქმაც შეიძლებოდა ამ კურთხეულ ქვეყნის და მისს თავისუფალ შვილების შესახებ. განა არ ვიცით, რომ იმ საგანს, რომელსაც დიდ-ტანოვანი წიგნიც არ ეყოფა, ჩვენი რამდენიმე ფელეტონი გაზეთისა სავსებით ვერ დაუყენებს მკითხველს თვალწინ მთელის თვისის სიგრძე-სიგანით. შენდობას ვითხოვ. ჩვენ აზრად არა გვქონდა ასეთი მძიმე ტვირთვი აგვეკიდებინა ზურგზე. ჩვენა გვსურდა ჩვენი საზაფხულო შთაბეჭდილებანი გაგვეზიარებინა ჩვენებურ მკითხველისათვის, მისთვის შეგვეძლებინებინა შეედარებინა ცოტათი მაინც ჩვენი ქვეყანა, სადაც ჩვენც ადამიანები გგვქვია, პატარა შვეიცარიისათვის, რომლის მცხოვრებნიც ადამიანის სახელს ატარებენ. დაგვენახვებინა, ისევ ზეზეურად, ის უფსკრული, რომელიც ამ ორის ქვეყნის, ბუნებით ორისავ უხვად შემკულის, შორის არსებობს. მისთვისაც იგივე გრძნობა სინანულისა აღგვეძრა გულში, რა გრძნობითაც აღივსო გული ჩვენი, ოდეს თვალი-თვალს გავუყარეთ აქაურობას, აქაურებს, მათ ყოფა-ცხოვრებას, მათს ურთიერთს დამოკიდებულებას. თუ მკითხველი სულგრძელად შეგვინდობს და ჩვენი მასლაათი, მცირედაც არის, მისს გულს მოხვდა, ჩვენც მეტი არა გვსურს-რა.

თ. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ შაბათს, 9 ნოემბერს, მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და კომისიისა უსახელო საზოგადოების განცხადების განსახილველად. განცხადება შეეხება **ჰიდრავლიკური სადგურის** აშენებას. სხდომამ პრინციპიალურად საჭიროდ სცნო აღნიშნულ სადგურის აშენება. ამასთან ამ საქმის ყოველ მხრივ განსახილველად ამოარჩია ინჟინერ ტეხნიკოსთაგან კომისია.

◆ პურით ვაჭრობის გამწესრიგებელ **კომისიის წევრს ი. ა. თაიროვს** მოხსენება წარუდგენია კომისიისათვის, რომლითაც ამტკიცებს: დიდს სარგებლობასა და შეღავათს მისცემს საზოგადო ვაჭრობასა და კერძოდ პურით ვაჭრობას, თუ სრულიად რუსეთის საიმპერიო საურთიერთო დამზღვევი საზოგადოება დაარსდაო. ამ საყოველთაო საზოგადოებამ უნდა მიიღოს დასაზღვევად ის ხორბალი ანუ პური, რომელშიაც კერძო ბანკები სესხს მისცემენ პატრონსაო; ამასთანავე ეს საქმე უთუოდ ისე უნდა იყოს დაწესებული, რომ ხორბალი თუ პური ადვილის პირობებით მიიღებოდეს დასაზღვევად და დასაზღვევი გადასახადიც ცოტა იყოს დანიშნულიო. ბ-ნი თაიროვი იმასაც-კი თხოულობს, რომ მომავალმა საყოველთაო დამზღვევმა საზოგადოებამ, პურის გარდა, სხვა ისეთი საქონელიც მიიღოს დასაზღვევად, რომელიც ეხლანდელ დამზღვევ საზოგადოებათ არა აქვთ აღნიშნული შეღავათით დასაზღვევ საქონელთა შორისო.

თუ ამისთანა საყოველთაო საზოგადოების დაარსებას სამინისტრო ვერ დაინახავს შესაძლებლად, იმ შემთხვევაში ვსთხოვოთ ფინანსთა მინისტრს, ნება დართოს ეხლანდელ საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებებს ქალაქებში, რომ პურისა და სხვა საქონლის დაზღვევის ნება ჰქონდეთ, მაგრამ ისე, რომ ყველა საქალაქო საურთიერთო საზოგადოებას ერთნაირი გადასახადი ჰქონდეს დაწესებულიო.

◆ ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, **სიღნაღში მიემგზავრება** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია 30-მდე საქმის განსახილველად. სესია სიღნაღში დარჩება ამ თვის ბოლომდე.

◆ ტფილისში ცნობილი მექანდაკე ბ-ნი ხოდოროვიჩი მოჰრიგებია ქალაქის გამგეობას, გამოჩენილის რუს-მწერალის **გოგოლის ძეგლის გაკეთებაში**. ძეგლი უნდა მზად იყოს მომავალ წლის 10 მარტისათვის. როცა ბ-ნი ხოდოროვიჩი საჭირო მასალას და მოწყობილობას მიიღებს პეტერბურგიდან, გამგეობამ უნდა მისცეს 150 თუმანი; ძეგლის დასრულებისა და ჩაბარების შემდეგ სამის დღის განმავლობაში დანარჩენი 250 თუმანიც.

◆ ამას წინად საეპარქიო **სანთლის ქარხნის** გამგე კომისიამ სთხოვა ქალაქის გამგეობას დაეთმო ალექსანდრეს ბაღის ბოლოში, შესავალთან, 20 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა პატარა სადგომის ასაშენებლად სანთლის გასასყიდად. გამგეობამ განიხილა ეს შუამდგომლობა და შეუძლებლადა სცნო იმისი შეწყნარება. ამ შუამდგომლობას თავის მოხსენებითურთ გამგეობა საბჭოს წარუდგენს.

◆ **ქალაქის სამზღვრებში აკრძალულია** ისეთი აგურხანების აშენება, რომელსაც მაზუთით ანთებენ. ვინმე პეტრუს მარქარიანცს უთხოვნია ქალაქისათვის მეათე ნაწილში ამისთანა ქარხანის გამართვის ნება მოეცითო. სათხოვარი ქალაქის ხუროთ მოძღვარს ბ-ნ ახნაზაროვსა და ქალაქის ექიმს ბ-ნ იგიტიანცს განუხილავთ. პირველს შესაძლებლად დაუნახავს მთხოვნელს სათხოვარი აუსრულდეს, მაგრამ ბ-ნი იგიტიანცი წინააღმდეგი გამხდარა სწორედ იმ მიზეზებით, რა მიზეზებითაც დიდი ხანია დადგენილია, არავის ნება არ მისცენ ქალაქის სამზღვრებში ამისთანა ქარხანა გამართოს, რადგან მცხოვრებლების ჯანმრთელობისათვის მეტად მავნებელია მაზუთის კომლით შეზავებული ჰაერი. გამგეობაც ამაზე დათანხმებულა და მარქარინცისათვის უარი უთქვამს.

◆ 15 ნოემბრისათვის ტფილისის საბჭოს სადგომში დანიშნულია **კრება ტფილისის მოქალაქეთა დეპუტატების**.

◆ ტფილისში გადაიცვალა ქალაქის საბჭოს ხმოსანი გაბრიელ ზურაბის ძე მირზოიანი. განსვენებული ცნობილი იყო სომეხთა საზოგადოებაში, როგორც მშრომელი მოღვაწე საყმაწვილო მწერლობაში. იმის მეთაურობით დაარსდა (დღესაც არსებობს) საყმაწვილო ყოველ-თვიური ჟურნალი „აღბიურ“ (წყარო), რომლის წარმატებისათვის პირველ ხანებში დიდი ღვაწლი მიუძღვის. ოთხმოციან წლების დასაწყისში განსვენებულმა მასწავლებლობა დაიწყო ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში და სომეხ-გრიგორიანთა ნერსესიან სემინარიაში და აქაც თვალსაჩინო და საქმიანი მოღვაწეობა გამოიჩინა. დიდ-ხანს მასწავლებლობდა ახლად მიცვალებული გაბრიელ ზურაბის ძე და სხვა საზოგადო საქმეებშიაც იღებდა მონაწილეობას, როგორც, მაგალ., ქალაქის საქმეებში, მაგრამ არ დასცალდა ჯერ კიდევ ხნოვანობით არა დიდს, მაგრამ სენისაგან მეტად შეწუხებულს, და სიკვდილმა იმსხვერპლა კარგის წადილებითა და სურვილებით სავსე კაცი.

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად მეისრის ტროფიმე გარამაკას გაუფრთხილებლობით მატარებელი ლიანდაგს გადასცდენია და სამი მგზავრი დასახიჩრებულა. გარამაკა პასუხის გებაში მიუციათ. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ არ უცვნია ბრალდებული. 9 ნოემბერს ტფილისის სასამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი. პალატამ ამასთანავე გადასწყვიტა ხაზინიდან 6600 მან. მიესაჯოს იმ მგზავრებს, რომელნიც მატარებლის ლიანდაგიდან გადაცდენის დროს დაშავდნენ.

◆ შაბათს, 9 ნოემბერს, სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე მოსე კოლომეიცევისა, რომელსაც ყალბი ფულის გასაღება ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს, როდესაც ეს საქმე განუხილავს, დამნაშავედ უცვნია კოლომეიცევი და გადაუწყვეტია ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და კატორღაში 8 წლით გაგზავნა. სასამართლო პალატამაც დამნაშავედ იცნო კოლომეიცევი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

◆ ტფილისის პოლიცმეისტრის განკარგულებით, საადრესო სტოლის ნაცვლად საჭირო ცნობების მიღება მსურველთ შეუძლიათ საპოლიციო ნაწილებში ყოველ დღე, დილის 8-დან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დან 7 საათამდე.

◆ დღეისთვის სასამართლო პალატაში, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: პორფირე ბალდავაძისა, რომელსაც თავის ძმის მოკვლა ჰბრალდება, ივანე გუმელაძისა, რომელსაც ფიც-ქვეშ ცრუდ ჩვენება ჰბრალდება, ვლადიმერ ხვიტიასი და ნიკოლოზ ხორავასი, რომელთაც ქურდობა ჰბრალდებათ.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბათუმი 10 ნოემბერს

41 ხმოსნისა და 9 კანდიდატის მაგიერ ამ დღეს არჩეულ იქმნა ხმოსნად 24 ხმოსანი; ამათგან: ქართველი—7, რუსი—10, სომეხი—6 და ბერძენი—1; ძველ ხმოსნებიდან არჩეულ იქმნა 9 კაცი; ვოლსკის კენჭი არ უყრია; პალმი ხმის უმრავლესობით გაშავებულ იქმნა. დაინიშნება დამატებითი არჩევნები.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ეს რამდენიმე ხანია აქაურ სასულიერო სემინარიაში სწავლა არ ყოფილა. ეხლა სემინარიის მთავრობას გამოუცხადებია, ვისაც სწავლა ჰსურს, თხოვნა შემოიტანოს და გამოაცხადოს თავის სურვილიო. მოსწავლეთაც დაუწყიათ თხოვნების მიცემა.

◆ ვლ. ს. მესხიშვილი თავისის დასით გაემართა ბათუმს, სადაც ტასო აბაშიძის მონაწილეობით რამდენსამე წარმოდგენას გამართავს.

◆ 14 ნოემბერს ქუთაისის თეატრში ქართული წარმოდგენაა დანიშნული. ითამაშებენ 4 მოქ. დრამას „მედეა“-ს დ. მესხის თარგმანს· ამ წარმოდგენაზე ამ სეზონში მიიღებს მონაწილეობას ეფ. მესხი, რომელიც „მედეა“-ს როლში გამოვა.

ქუთაისის საექიმო საზოგადოების მორიგი კრება

პარასკევს, 7 ნოემბერს, ქალაქის უფასო სამკურნალოს შენობაში, ექიმის ს. ი. ხეჩინოვის თავმჯდომარეობით მოხდა ქუთათურ საექიმო საზოგადოების მორიგი კრება, რომელსაც 17 ექიმი დაესწრო.

კრების გახსნისთანავე ექიმმა გ. დ. ქორქაშვილმა განმარტა ერთი იშვიათი შემთხვევა თვალის ავადმყოფობისა, რომელიც მას ადამ-ბედზე მოურჩენია წურბლების საშუალებით, თუმცა ავადმყოფობა კი ვერ გამოუცვნია. თვალი იმდენად წამოწეული ყოფილა ბუდიდან, რომ ქუთუთოები არ სჩანდათ; თვალს მოძრაობა არ ჰქონდა, ხედვით კი იხედებოდა. თუმცა ექიმი გერრატი ამტკიცებდა, ეს ავადმყოფობა ანთების ბრალი ყოფილაო, მაგრამ ავადმყოფობის გვარი მაინც გამოუცნობელი დარჩა; მხოლოდ ის კი აღიარეს, რომ ხან-და-ხან ექიმთაგან ათვალწუნებული წურბლებიც თურმე უებარი წამალი ყოფილან ზოგიერთ ავადმყოფობის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ ექიმმა ს. მ. ტერტეროვმა წაიკითხა ს. ბ. თოფურიას საავადმყოფოსა და მასთანვე მოთავსებულ ამბულატორიის ათი წლის მოქმედების მოკლე ანგარიში. ანგარიშის წინასიტყვაობიდანა სჩანს, რომ საავადმყოფო დაუარსებია ბ. თოფურიას 1890 წელში, როდესაც ქუთაისში სამხედრო საავადმყოფოს გარდა, სადაც თითქმის მხოლოდ სამხედრო უწყებიდან იღებდნენ ავადმყოფებს, სხვა არავითარი საავადმყოფო არ არსებულა. აი, ასეთ დროს ბ. თოფურიას კერძო ინიციატივითა და საშუალებით დაუარსებია საავადმყოფო, რომელიც მოუთავსებია ორს ნაქირავებ შენობაში, სადაც ედგმულა მხოლოდ ათი ლოგინი ავადმყოფთათვის. ათი წლის განმავლობაში კი ბ. თოფურიას დაუღალავ შრომასა და შესანიშნავს ენერგიას იმდენად წინ წაუწევია საავადმყოფოს საქმე, რომ ერთი ათად უქცევია: ამ ჟამად საავადმყოფოს აქვს რიონის ნაპირზე მშვენიერი ორსართულიანი შენობა ბაღითა და ყოვლადგვარი მოწყობილობით, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს ყოველი მნახველი როგორც ჩვენებური, ისე უცხოელი. საავადმყოფოს უჭირავს ერთი საუცხოვო მხატვრული მდებარეობა და ისე კოხტად, სუფთად და ლამაზადაა ყველაფერი მოწყობილი შიგნით და გარეთ, რომ უკეთესს ვერც კი ისურვებს კაცი. საავადმყოფოში დგას მუდმივ 60 ლოგინი, მაგრამ საჭიროების დროს ხშირად 75 ლოგინიც ადვილად თავსდება შიგ. საავადმყოფო იმყოფება მისი უმაღლესობის პრინცის ა. პ. ოლდენბურგსკის მფარველობის ქვეშ.

ეხლა შევხედოთ საავადმყოფოს მოქმედებას ამ ათის წლის განმავლობაში. როგორც ანგარიშიდან სჩანს, 1890 წელს საავადმყოფოში ყოფილა 98 ავადმყოფი; 1891 წ.—119; 1892 წ.—242; 1893 წ.—272; 1894 წ.—287; 1895 წ.—289; 1896 წ.—331; 1897 წ.—496; 1898 წ.—562; 1899 წ.—616 და 1900 წელს კი —700 ავადმყოფი. ამგვარად ათის წლის განმავლობაში საავადმყოფოთი უსარგებლნია 4012 ავადმყოფს, რომელთაგან 3415 სრულიად მორჩენილა, 464 მორჩენამდის გასულა საავადმყოფოდან და 133 ანუ 2,85% კი გარდაცვლილა. საავადმყოფოში წოლილან ავადმყოფები: 1890 წელში 2029 დღე, 1900 წელს კი 15138, ე. ი. სულ 89,788 დღე. აქედან ნათლად სჩანს, რა შესამჩნევის თან-და-თანობით მიდის საავადმყოფოს საქმე.

ანგარიშის შემდეგის ცხრილიდან ვტყობილობთ, რომ ათის წლის განმავლობაში საავადმყოფოთი უსარგებლნია 1873 გლეხს, 1260 აზნაურს; ამათ მოჰყვებიან: მემამულენი (МѢЩАНЕ) თავადნი, სასულიერო წოდების პირნი და სხ. ავადმყოფთა უმეტესი ნაწილი ყოფილა 20—30 წლისა; უმცირესი ნაწილი კი მოხუცებულნი და ბავშვები. ბავშვების რიცხვის ასეთი სიმცირე იმით აიხსნება, ნათქვამია ანგარიშში, რომ მათ უდედოთ არ შეუძლიათ საავადმყოფოში წოლაო.

ავადმყოფების უმეტესი რიცხვი მოუცია ქ. ქუთაისს (951), შემდეგ ქუთაისის მაზრას; ამათ მოჰყვება მაზრები: სენაკის, შორაპნის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სოხუმის ოლქი, ლეჩხუმისა და რაჭის მაზრები. ქალაქები: ბათომი, ფოთი და ტფილისი და შავი ზღვის ოლქი (7). ავადმყოფებში უმეტესობა ყოფილა შინაური მეოჯახე (1462) (Занимающіеся домашнимъ хозяйствомъ), უმცირესობა კი მოჯამაგირეები (155).

საავადმყოფოს სადასტაქრო (хирургическое) განყოფილებაში წოლილა ამ ათის წლის განმავლობაში სულ 1837 ავადმყოფი, რომელთაგან 1671 სრულიად განკურნებულა, 106 მორჩენლად გასულა საავადმყოფოდან და 62 მომკვდარა, ე. ი. 3,3%. სულ ავათმყოფებისათვის გაუკეთებიათ 1942 ოპერაცია. ავადმყოფებში უმეტეს ნაწილს (1443 ჰქონია სხვა-და-სხვა გვარი ანთება.

ლონ-ვალიანი

(დასასრული იქნება)

წერილი გურიიდან

მოსავალი

რომ იტყვიან, „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო“—სწორედ ჩვენზე არის გამოჭრილი. ვინ არ იცის, წყალდიდობამ რამდენი ღარიბ-ღატაკის ოჯახი დასტოვა ულუკმა-პუროდ? ადიდებულმა მდინარემ ადამიანები დაახრჩო, სახლ-კარი წაიღო, ხიდები დაანგრია, წისქვილები წაიღო, ბაღები გაანადგურა და სხვა. ჩვენდა საუბედუროდ, ყველა ეს არ გვაკმარა და ცეცხლზე მდუღარე გადაგვისხა. ჯერ დაიწყო განუწყვეტელი წვიმები და აქა-იქ წყლისაგან გადარჩენილ საკვების აღება მთესველთ აღარ აცალა თუ რა მოუვიდა სოფლად შენახულ სიმინდს ნალიაში, იმის გამოცნობა მკითხველისათვის მომინდვია. ასე იყო თუ ისე, დიდის ვაივაგლახით შევიტანეთ სახლში მოსავალი, გარდა ყურძნისა, და ეხლა ყურძენს მოვკიდეთ ხელი. იზაბელას (ადესას) წელს სანაქებოდ ესხა. ჩვენც ვიფიქრეთ, არა გვიშავს-რა, ღმერთი მოწყალეა, ყურძენი ბევრი გვაქვს, ღვინოს გავყიდით, მტერ-მოყვარეს და ყველაფერს მოთხოვნილებას ამით დავიკმაყოფილებთ. წარმოიდგინეთ ჩვენი უბედურება: უცებ თოვლი მოვიდა და ჩვენი იმედებიც გაჰქრა. ვისაც ცოტა ჰქონდა მამული, ხომ კარგი: მოასწრო, მაგრამ ვისაც ცოტა გვარიანად გააჩნდა, იმისი პატრონი თოვლი გახდა. დიახ, გურიაში ეხლა სთოვს, სიცივეა, ხოლო სიცივის წამალი—შეშა კი ათ მოსახლეში ერთს არა აქვს.

ხიმონი.

დაბა-სოფლები

ოზურგეთი (გურია). ამ ჟამად ოზურგეთში რვა სხვა-და-სხვა სასწავლებელია და ყველა სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი საკმაოა. მეტადრე საგულისხმოა ამ სამის წლის განმავლობაში მოსწავლე ქალთა რიცხვის გამრავლება. ათოთხმეტის წლის წინად თუ ქალებისათვის სწავლა მეტ ბარგად მიაჩნდათ, დღეს უკიდურეს სიღარიბეში მყოფი მამაც კი ჰგზავნის პატარა ქალს სასწავლებელში და უკანასკნელ გროშს ხარჯავს. ხუთის წლის წინად აქ ორი მასწავლებელი ქალი იყო, დღეს-კი პაწია ოზურგეთში თოთხმეტი მასწავლებელი ქალია.

სასწავლებლების მხრივ არა უშავს-რა ოზურგეთს, მაგრამ სხვაფრივ იგი დაქვეითებულია. არავითარი საზოგადო გასართობი აქ არ არსებობს; წარმოდგენებმა ხომ დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღო. არ შემიძლიან, ამ შემთხვევაში არ ვუსაყვედურო მანდილოსნებს. ნუ თუ არ შეუძლიათ, თავი მოიყარონ, გაბედნიანი პირები ამოირჩიონ და წელიწადში ორი-სამი წარმოდგენა გამართონ თეატრის სახლის ასაგებად?

ხანი.

საწულუკიძეო (იმერეთი). როგორც სხვაგან, აქაც გაგვიჭირეს საქმე ჩარჩ-ბაყალებმა. ეს ვაჭრები აბაზის საფასურს ორ და სამ აბაზად ჰყიდიან. მცხოვრებთ მოთმინების ფიალა აევსოთ; ამის გამო ზოგიერთებმა გადასწყვიტეს დააარსონ ამხანაგობა და შეერთებულის ძალით აღაგმონ ჩარჩ-ბაყალების თავ-გასულობა. უნდათ გაადონ მაღაზია და შეძლებისა დაგვარად იქონიონ ყოველ-გვარი სავაჭრო საქონელი. ბ-ნმა რ. სულაბერიძემ ამ საქმეს აღუთქვა შემწეობა, როგორც ფულით, ისე შენობით. სამწუხაროდ, საქმის განხორციელება ზოგიერთთა წყალობით გვიანდება.

ლ. ვ.

დ. ზესტაფონი (იმერეთი). თითქმის ერთი წელიწადი მეტი იქნება, რაც ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ ხაშურსა და სამტრედიას შუა ვაგონებში საქონელი იკარგება. რკინის გზის გამგეობა, მიუხედავად დიდის მაცადინეობისა, ვერაფერს გებულობს. ქურდობა ამ ბოლოს დროს ისე გახშირდა, რომ დღეც არ გაივლის ისე, ვგონი არ გაძარცვონ. ამ ორისთვის წინად ყვირილასა და შორაპანს შუა დაიკარგა ფართლეულობის საქონელი რამდენიმე ათასის მანეთისა. წვრილმან ქურდობას ხომ ანგარიში არა აქვს. ნაქურდალი საქონელი სადდება უფრო ქუთაისსა, ჭიათურასა და ყვირილაში. ქურდების ბრბო დახელოვნებულ და ქურდობაში გაწვრთნილ პირებისაგან შედგება.

ნექტარინა.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. კვირას, 11 ნოემბერს, დღისით, ქართულის დასის არტისტებმა წარმოადგინეს ზუდერმანის კომედია „პატიოსნება“. როლები შარშანდელსავით იყო განაწილებული შემდეგის ცვლილებით: მიულინგის როლი, ვ. აბაშიძის ნაცვლად, გამყრელიძემ შეასრულა, ალმასი, ტასო აბაშიძის ნაცვლად, ლეჟავამ, ხოლო კურტისა—ახალგაზრდა მსახიობმა რომანიშვილმა. ეს უკანასკნელი სუსტი იყო. კურტის როლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა, მაგრამ პასუხ-საგები როლია და იმისი ასრულება გამოუცდელ მსახიობისთვის ძნელია. ამას გარდა, ბ-ნი რომანიშვილი მეტად აპრტყელებდა და აუშნოვებდა ლაპარაკს. უკედ შეასრულა როლი ქ-ნმა ლეჟავამ. საზოგადოდ წარმოდგენამ ურიგოდ არ ჩაიარა. ყურადღება მიიქციეს: ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ, ბ-ნებმა გამყრელიძემ, შათირიშვილმა, გუნიამ და გედევანოვმა. წარმოდგენას მოსწავლე ახალგაზდობა საკმაოდ დაესწრო.

—

ქუთაისი. 29 ოქტომბერს, როგორც უკვე შეგატყობინეთ, ქ-ნ. ა. ბ. დოროქიფანიძის მეთაურობით გამართული იყო ქუთაისის თეატრში საქველ-მოქმედო საღამო. ამ საღამოს კონცერტსა და დრამატიულ წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდნენ ჩვენის ცნობილის მომღერალის, საეკლესიო და საერო მუსიკის მწერალის ფილიმონ ქორიძის ქალ-ვაჟი მიხეილ და ვალენტინა. ეს ახალგაზდები სწავლობდნენ პეტერბურგში. ვაჟმა დაასრულა უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო ქალმა წმ. ელენეს ინსტიტუტი. მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას სასწავლებელში, მუდამ მსურველი იყვნენ შეესწავლათ ხელოვნური მეცნიერების საგნებიც და მოემზადნენ იმდენად, რომ მოეწადინეს ეჩვენებინათ თავისი ხელოვნება სამშობლო საზოგადოებისათვის; ამისათვის ჩამოვიდნენ ქუთაისში და წარუდგნენ იქაურ საზოგადოებას ხსენებულ საღამოს, სადაც მიხ. ქორიძემ თავისი მოხდენილი და ხელოვნური თამაშით დრამაში, აგრეთვე გრძნობით სავსე და მშვენიერის დაკვრით ვიოლონჩელზე დაგვიმტკიცა დრამატიული და მუსიკალური იშვიათი ნიჭი. მისმა ნორჩმა დამ ვალენტინამ, თავისი ცქრიალკრიალა ხმით კარგად იმღერა რომანსები.

საზოგადოდ, ორთავე და-ძმამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე, რომელმაც უხვის ტაშის ცემით დააჯილდოვა ისინი. შეგვიძლია გაბედვით ვსთქვათ, რომ და-ძმა ქორიძე დიდი ნიჭისა არიან და სცენის დამამშვენებელნი იქნებიან, თუ განაგრძობენ თავიანთ ნიჭის განვითარებას; მაგრამ ამასაც ნივთიერი საშუალება და დახმარება უნდა; მათ-კი არაფერი აქვთ, ხოლო მამა მათი, რომელსაც ბევრი უშრომია და ბევრსაც შრომობს ქართული მუსიკის აღორძინებისათვის, როგორც გავიგეთ, თვითონაც მეტად ხელმოკლედ არის. ამისათვის, იმედია, ყველა ქართველი თანაგრძნობას აღმოუჩენს ახალგაზდა ნიჭიერ და-ძმა ქორიძეებს და დაესწრება მათ კონცერტებსა და წარმოდგენებს საქართველოის ყველა დაბა-ქალაქებში, რომ მით გამხნევდნენ და შეიძლონ თავიანთ ნიჭის განვითარებისათვის მუშაობის გაგრძელება. Z

—

ბათუმი. ბათუმელმა რეცენზენტებმა თავი მოაბეზრეს მკითხველებს ჩივილით: ბათუმში წარმოდგენები არ იმართება, თორემ ხალხი სიამოვნებით დაესწრებაო. ახლა, მადლობა ღმერთს, ვერაფერს იტყვიან. აქ, მუდმივის დასის გარდა, რომელიც თვეში ორჯერ ჰმართავს წარმოდგენებს, ჩამოვიდა ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი თავისის დასით. მაგრამ რა? წარმოდგენას საზოგადოება არ დაესწრო და ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ მსახიობნი ერიდებიან ბათუმს? წარმოადგინეს „ბორკილი". მონაწილეობას იღებდნენ ნინა ჩხეიძე, ტასო აბაშიძე და ვლ. ალმესხიშვილი. მშვენივრად შეასრულეს თავიანთი როლები როგორც ნინა ჩხეიძემ (ოლგა გარინინისა), ისე ტასო-აბაშიძემ (ანიუტა), რასაკვირველია, ბ-ნმა მესხიშვილმაც ჩინებულად დაგვიხატა გაიძვერა პრაპოროვი. სხვებიც ხელს უწყობდნენ, გარდა გიგაშვილისა და თათეიშვილისა. სუსტად ითამაშა მირიანაშვილმა (კუმანინის როლში), იგი უფრო „სალდათს" ჰგავდა, ვიდრე გადგენიან გენერალს. დასასრულ წარმოდგენილი იქმნა „ბენეფისის წინ". ბევრი გვაცინა იმედაშვილმა, შესანიშნავი იყო ტასო აბაშიძე (დიდიჩკას როლში). იმედია, მსახიობნი დრო-დროთ გვინახულებენ ბათუმელებს. **ამერ,**

—

სახალხო წარმოდგენა. კვირას, 10 ნოემბერს, ავლაბარში, ბ-ნ მურაშკოს მიერ ახლად აშენებულს თეატრში ქართულ-რუსული წარმოდგენა გაიმართა. რუსულად წარმოადგინეს გოგოლის „ჟენიტბა" და ქართულად „მე მინდა კნეინა გავხდე" ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა, ბ-ნ ვ. აბაშიძისა და სხვათა მონაწილეობით. ორთავე წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა და სასურველი გავლენაც იქონია. ხალხმა ორივე პიესა დიდის ყურადღებით მოისმინა და „ვაშა"-ს ძახილით დააჯილდოვეს მსახიობნი.

დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი მურაშკო ამ კოპწია შენობის აგებისათვის; იმედია, ამის შემდეგ ხშირად გაიმართება წარმოდგენა და, როგორც ამ საღამომ დაგვარწმუნა, ხალხიც ბევრი ივლის.

საზოგადოების უმეტესობა მუშა ხალხი იყო თავიანთის ცოლ-შვილით. სასურველია, ჩვენმა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ხშირად მართოს აქ წარმოდგენა თავისის არტისტების დახმარებით, რაიც შემდეგში უმნიშვნელოდ არ დაეკარგება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საღამოს ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისამ და ბ. ვ. აბაშიძემ ისეთის აღტაცებით შეასრულეს თავიანთი როლები, რომ ჩვენს დიდს სცენაზედაც კი იშვიათია ხოლმე. პირველი წარმოდგენა იყო და ბევრის გულშიც პირველად გაიღვიძა თეატრის სიყვარულმა.

—

შაბათს, 9 ნოემბერს, ბ-ნ ვ. გამყრელიძის რეჟისორობით და ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით, სცენის მოყვარეებმა გაიმეორეს ა. ცაგარლის 4 მოქმედებიანი კომედია „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო" რკინის გზის სახელოსნოებთან გამართულ თეატრში. ამ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

უცხოეთის წვრილი ამბები

—

ცხვირი დაიწვა. შესაძლებელია კაცს ცხვირი დაეწვას? არ თქვათ შეუძლებელიაო, იმიტომ რომ სწორედ ასეთი ამბავი მომხდარა 29 ოქტომბერს პარიზში. სენ-მიშელის ბულვარზე ერთ ვაჟბატონს სიგარის მოკიდება მოუნდომებია. წუმწუმა აუნთია და პირში გარჭობილ სიგარასთან მიუტანია მოსაკიდებლად, მაგრამ ამ დროს იმის ცხვირს უფეთქია და ერთიანად ალი მოსდებია. გაოცებული გამვლელები გარს შემოხვევიან ცხვირზე ცეცხლ-მოკიდებულ კაცსა, ის კი ჰყვიროდა თურმე და ჰხტოდა ტკივილებისაგან. ჩქარა პოლიცეილებიც მიჰშველებიან და ჩაუქრიათ არა ჩვეულებრივი ცეცხლი და დაშავებული ახლო აფთიაქში მიუყვანიათ, სადაც დაუმოწმებიათ, რომ „შუშხუნა" ცხვირი ერთგვარ ნივთიერებისაგან ყოფილა გაკეთებული, რომელსაც ცელულიდი ჰქვია. თურმე ბ-ნ გოდეფრუასთვის თავისი ბუნებრივი ცხვირი ერთხელ მუშტი-კრივით დაუმსხვრევიათ მეკრივეებს და სამაგიეროდ ხელოვნური ეყიდა თურმე ამას წინად.

* *

მოსწრებული პასუხი. ოქსფორდის მუზეიში სხვათა შორის, ერთი ქალაა თურმე, რომელსაც გამოჩენილ ოლივერ კრომველის ქალად უჩვენებენ ხოლმე მიმსვლელთ. ერთხელ მუზეუმის დასათვალიერებლად სხვებთან ერთად ერთი ექიმი-პროფესორიც ყოფილა.

— ეს ხომ ბავშვის ქალაა — უთქვამს პროფესორს, როცა მუზეის დარაჯმა უჩვენა და აუხსნა სტუმრებს.

— რა თქმა უნდა, ეს ქალა კრომველისაა, მაგრამ სწორედ მიხვდით, ნამდვილად იმ დროისაა, როცა კრომველი ჯერ კიდევ ბავშვი იყო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ნოემბერი

პეტერბურგი. „პრავიტელსტვ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია, რომ დაწესდა ახალი სამართველო სავაჭრო მეზღვეურობისა და ნავთსადგურებისა. უფროს მმართველად უმაღლესის რესკრიპტით დაინიშნა დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილისძე.

ეკატერინოსლავი. პატარა სადგურ კასინოვკასთან ერთმანეთს დაეჯახნენ საქონლის მატარებლები. დაიმტვრა 11 ვაგონი; დაშავებულია ოთხი კაცი

პორტ არტური. კრეისერი „ადმირალ ნახიმოვი", რომელზედაც დიდი მთავარი კირილე ვლადიმერის ძე იმყოფება, რუსეთისაკენ წამოვიდა.

პარიზი. ლუბემ გამართა რამბულიეში ნადირობა დიდ მთავარ ალექსანდრეს ძეს პატივსაცემლად.

ათინა. ჩამოვიდნენ მეფის შვილი ნიკოლოზი და დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული.

ბერლინი. იმპერატორმა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა კრუპის ქარხნის სამართველოს; ამ გვარივე დეპეშები მოუვიდა სხვა მაღალ პირებისაგანაც.

ირკუტსკი. იდღესასწაულეს ალექსანდრეს სახელობაზე აგებულ ბავშვების თავშესაფარის იუბილე.

ვაშინგტონი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ კოლუმბიის მთავრობა ზავით შეკრა ინსურგენტებს. რევოლიუცია გათავდა.

შანხაი. უცხოელ ჯარების გაყვანა იაპონელების წასვლით დაიწყო.

რომი. პრინცესა მაფალდის დაბადების გამო მეფემ ბევრი ამნისტია მოახდინა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსაფენი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

—

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ნოემბრის 16 რიცხვს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, გამგეობის სადგომში ვაჭრობაა დანიშნული, რომ **ქალაქის სასწორებზე ასაღები გარდასახადები** იჯარით გაიცეს სამის წლით. გაიცემა შემდეგი სასწორების შემოსავალი: თათრის მოედნისა, დესიმონის მოედნისა, ვერის მოედანისა, ავლაბრისა, მალაკნებისა და სალდათის ბაზარზე.

დაწვრილებითი პირობები ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში შეუძლია მსურველს შეიტყოს, კვირა-უქმეებს გარდა, ყოველდღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—1)

ქ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩაზე გოგილოვის შენობაში
ტარიელ დიმიტრის ძე
გაბუნიას და ამხანაგობას

აქვს გახსნილი საწყობი, სადაც იყიდება ყოველნაირი დაწმენდილი არაყეულობა, სპირტი და სასმელები ზომიერ ფასებში. საქონელი მოწონებულია ტფილისის გამოფენაზე და დაჯილდოვებულია. მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ზემოხსენებული ადრესით. (15—10)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 22 ამა ნოემბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით სამის წლის ვადით ვერის **ხიდზე მიმავალ ეტლებზე დადებილ გადასახადის აკრეფა**.

პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილების კანცელარიაში ყოველდღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ. 2—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—50)

ზის
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
ვერის მოედანზე, ვაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელე754ფონი № (წ.).

ახალი წიგნი
ფიზიოლოგია
დ-რი ფოსტერისა
სურათებით
ფასი 25 კ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

изданія годъ ШЕСТОЙ

Открыта подписка на 1903-й годъ
НА ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ

изданія годъ ШЕСТОЙ

„СУДЕБНЫЯ ДРАМЫ"
12 КНИГЪ ВЪ ГОДЪ СЪ ПЕРЕСЫЛКОЙ 4 РУБ.

Разсрочка только черезъ контору: при подпискѣ 2 р., къ 1 апрѣлю и къ 1 іюню по 1 руб.

ВЪ „СУДЕБНЫХЪ ДРАМАХЪ" ПОМѢЩАЮТСЯ:

I. Замѣчательные и загадочные процессы и уголовныя исторіи всѣхъ странъ.—II. Историческія изслѣдованія, очерки и разсказы.—III. Статьи по антропологіи и соціологіи въ связи съ уголовнымъ правовѣдѣніемъ.—IV. Біографіи.—V. Автобіографіи и мемуары.—VI. Рѣчи судебныхъ ораторовъ.—VII. Процессы дня.—VIII. Что говорятъ юристы —IX. Извѣстія и замѣтки.

Здѣсь общество читаетъ безъискуственные романы, драмы и высокія комедіи, написанныя самою жизнью. Тутъ нѣтъ мѣста ни искусству, ни фантазіи, здѣсь одна правда, дѣйствительность, во всей своей непригладной наготѣ.

Въ 1901 г. въ приложеніи были помѣщены:

Убійство Сарры Беккеръ, 1-е и 2-е разбирательство. Рѣчи: Бобрищева-Пушкина, Андреевскаго, Карабчевскаго и кн. Урусова.—Безпорядки на фабрикѣ В. Морозова.—Дѣло о безпорядкахъ на заводахъ „Русскій Провидансъ" и Никополь-Маріупольскаго общества.— Мемуары Дрейфуса.—Великіе адвокаты XIX в. (біографіи съ пор.).

Въ 1902 г.—Клубъ червонныхъ валетовъ.—Скопчество на Руси.—Великіе адвокаты XIX в.

Въ 1903 г. будетъ напечатанъ процессъ игум. Митрофаніи. Рѣчи: гг. Жукова, Лохвицкаго, Плевако и Громницкаго.—Заготовленъ процессъ Декабристовъ и др.

Въ редакціи имѣются полные экземпляры „Судебныхъ Драмъ" только за 1901 и 1902 г. и высылаются за 4 руб. за экз. Другихъ годовъ не имѣется.

Адресъ редакціи:
Москва, Остоженка, Савеловскій пер., д. Снегиревой.
Редакторъ-Издатель **Л. Ѳ. Снегиревъ.**
(3 ѳ.—1).

Дозв. ценз. Тифлисъ, 11 Ноября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)